სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/55

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციისა და ფაკულტეტების დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-05-04/176 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-06-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №01-05-04/176 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები;

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) **სოციალურ მეცნიერებათა** ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) დებულება (შემდგომში „დებულება“) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.“;

გ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა: **სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;**

ინგლისურად – **Faculty of Social Sciences;** რუსულად – **Факультет Социальных Наук**.“;

დ) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის:

დ.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების აკადემიური დეპარტამენტი;“;

დ.ბ) „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს.

3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი.“.

4. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური დეპარტამენტი.“.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**